საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/32 " 24 " მარტი 2017 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს წერილობით მიმართეს თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოებმა და საჭიროებიდან გამომდინარე მოითხოვეს სასამართლოს შენობებში სწრაფი გადახდის, კვებისა და ყავის აპარატების განთავსება. აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის საჭიროა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სარგებლობაში არსებული თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის ფართისა (8 კვ. მ.) და თბილისის სააპელაციო სასამართლოს შენობის ფართის (6 კვ. მ.) სარგებლობაში გადაცემა კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით, აუქციონის საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, განახორციელოს მის სარგებლობაში არსებული თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოების შენობების ზემოაღნიშნული ფართების სარგებლობაში გადაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი